საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/231

ქ. ბათუმი 29 სექტემბერი, 2022 წ

ესპანეთის მურსიის კათოლიკურ უნივერსიტეტში ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილებისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის 2022 წლის 28 სექტემბრის MES 0 22 0001179418 და 29 სექტემბრის MES 2 22 0001189149 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ესპანეთის ქალაქ მურსიაში მდებარე მურსიის კათოლიკურ უნივერსიტეტში ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დაწყებითი განათლების მიმართულების, თარგმანმცოდნეობის და ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების ბსუ-ს სტუდენტთა გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები:

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამით გათვალისწინებული საკონკურსო **დოკუმენტაციის წარმოდგენა** - 2022 წლის **29 სექტემბრიდან 10 ოქტომბრის** 16:00 საათამდე - ელექტრონულ პლათფორმაზე - https://registration.bsu.ge/Registration-2.php და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ ადმინისტრირებულ ელექტრონულ ფოსტაზე: erasmus@bsu.edu.ge;

ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - 2022 წლის 11 ოქტომბერი, 10:00-13:00 საათი;

გ) ტესტირება/გამოცდა ინგლისურ ენაში (ინგლისური B2) - 2022 წლის 12 ოქტომბერი, (ტესტირების ფორმატი და ჩატარების ზუსტი დრო დამატებით ეცნობოს კონკურსანტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე);

გ) გასაუბრება კონკურსანტებთან - 2022 წლის 14 ოქტომბერი, 15:00 საათი;

დ) კონკურსანტთა სიების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტში - 2022 წლის 15 ოქტომბერი.

2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის ძირითადი შემადგენლობა:

ა) მერაბ ხალვაში - რექტორი (თავმჯდომარე);

ბ) ანზორ ბერიძე -რექტორის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე);
გ) თამარ სირაძე -რექტორის მოადგილე;
დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ე) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი ;
ვ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (მდივანი);
ზ) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
თ) მარინე გიორგაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ/შ;
ი) ლელა თურმანიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;

3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.
6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**